არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

### გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

## სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

## მიღებული ავანსები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მიღებული ავანსები მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ ფულად სახსრებს. ისინი მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომელზეც ანგარიშგების თარიღისათვის არ იყო დამდგარი შედეგები. ასევე ისეთ შენატანებს, რომლებიც არ იყო გათამაშებული და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მომხმარებლების მიმართ.

ორგანიზაციამ მომხმარებელთათვის თამაშების ადმინისტრირება და მიწოდება დაიწყო 2019 წლის პირველ იანვარს. 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები მოიცავს კომპანია „დრიმთიმი“-სგან კომპანიის შესყიდვით მიღებულ ვალდებულებებს, რომელიც მათ გააჩნდათ თამაშებში მონაწილეების მიმართ 31.12.2018 წლის 23:59 თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები კლასიფიცირებულია როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ შეადგენს არსებით თანხას და არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის დადგომის თარიღისთვის. ტოტალიზატორის ფსონები არ არის პროცენტის მატარებელი, შესაბამისად ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს.

## საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

## შემოსავალი

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლები მოიცავს მომხმარებელთათვის გაწეული ონლაინ თამაშის მომსახურების შესაბამისად მიღებულ შემოსავლებს. თამაშები მოიცავს ტოტალიზატორის აქტივობებს, კაზინოსა და სხვა თამაშობებს.

ორგანიზაცია შემოსავლებს აღიარებს მომხმარებელთათვის საქონლის ან მომსახურების შესაბამისი კონტროლის გადაცემის დროს. შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შესახებ.

ტოტალიზატორით მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები წარდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების და ზარალის სახით.

ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში.

ონლაინ კაზინოს შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა მოგებების სახით, რაც წარმოადგენს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის.

## ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს თამაშების მომწოდებლებთან გადახდილ საკომისიოებს, ტოტალიზატორის მოწყობის და წამახალისებელი გათამაშების ორგანიზებიდან წარმოქმნილ გადასახადებს, მარკეტინგულ და სხვა ხარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

როგორც შემოსავლის აღიარების ახსნა-განმარტებითი შენიშვნაშია აღწერილი, თამაშებთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, რომელიც მოიცავს მომხმარებლების მოგების სანაცვლოდ გაცემულ ანაზღაურებებს, წარდგენილია მის შესაბამისად მიღებული შემოსავლების შემცირებით.

## უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

## ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: ახალი სტანდარტები, რომლებიც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას არ ახდენს არის

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ;
  - შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით ;
  - შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი .
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება;
  - ფასს 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა ;
  - ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)

წარდგენილ ანგარიშგებაზე გავლენა იქონია 2019 წლის 1 იანვარს ძალაში შესულმა ახალმა ახალმა სტანდარტმა ფასს 16 - იჯარა. ორგანიზაციას გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტი გაფორმებული აქვს საოფისე ფართით მომსახურებაზე, რომელიც კლასიფიცირებულია და კორექტირებული ფინანსურ იჯარად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საიჯარო კონტრაქტით მოიჯარეს იჯარა გამოყენების უფლებით მეიჯარესგან გადაეცა 2019 წლის 1 იანვარს, შესაბამისად მას გავლენა არ ჰქონია კაპიტალის საწყის ნაშთზე.

ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია აქტივის გამოყენების უფლებით, რომელიც მოიცავს კომპანიის საოფისე ფართს და აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით. ხოლო გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების და მისი მიმდინარე ნაწილი აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად საშუალო შეწონილ განაკვეთად გამოყენებულ იქნა 9.8% ვადიანობისა და ვალუტის გათვალისწინებით.

შპს ფულ ჰაუსი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა N4 მოიცავს ფასს 16-ის შესაბამისად განხორციელებულ კორექტირებებს და მიღებულ შედეგებს.

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

**ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ გაანგარიშებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები**

**საწყისი ღირებულება**

|                            | მანქანა -<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებები |
|----------------------------|--------------------------|-----------------------|----------------------------|---------------------------------|
| ბალანსი 01/01/2018         | -                        | -                     | -                          | -                               |
| დანამატები                 | 2,250                    | 890                   | 150                        | 1,075                           |
| აქტივების ჩამოწერა         | -                        | -                     | -                          | -                               |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -                        | -                     | -                          | -                               |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -                        | -                     | -                          | -                               |
| ბალანსი 31/12/2018         | 2,250                    | 890                   | 150                        | 1,075                           |
| დანამატები                 | 38,127                   | 699,151               | 58,027                     | 61,381                          |
| აქტივების ჩამოწერა         | -                        | (4,524)               | -                          | -                               |
| ცვეთა პერიოდისათვის        | (7,038)                  | (96,751)              | (8,177)                    | (7,421)                         |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -                        | -                     | -                          | -                               |
| ბალანსი 31/12/2019         | 33,339                   | 598,765               | 50,001                     | 55,035                          |
| <b>ბალანსი 31/12/2018</b>  | <b>2,250</b>             | <b>890</b>            | <b>150</b>                 | <b>1,075</b>                    |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>  | <b>33,339</b>            | <b>598,765</b>        | <b>50,001</b>              | <b>55,035</b>                   |

**შენიშვნა 4 - აქტივი გამოყენების უფლებით და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები**

ფასს 16 - იჯარის სტანდარტის ცვლილების ძალაში შესვლით მიღებული კორექტირებები და შედეგები მოიცავს:

|                                                    | ოფისი          |
|----------------------------------------------------|----------------|
| <b>საბალანსო ღირებულება 01.01.2019 წელს</b>        | <b>640,448</b> |
| დანამატი                                           | -              |
| ჩამოწერა                                           | -              |
| ცვეთის ხარჯი                                       | (213,483)      |
| <b>საბალანსო ღირებულება 31.12.2019 წელს</b>        | <b>426,965</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება 01.01.2019 წელს</b>        | <b>640,448</b> |
| დანამატი                                           | -              |
| შემცირება                                          | (206,536)      |
| <b>მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება 31.12.2019</b> | <b>227,161</b> |
| <b>გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება 31.12.2019</b> | <b>206,751</b> |

**შენიშვნა 5 - შეზღუდული ფულადი ნაშთები**

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ორგანიზაციის გრძელვადიანი აქტივი მოიცავს შეზღუდულ ფულად ნაშთებს, რომელიც წარმოქმნილია სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე გრძელვადიანი კონტრაქტის პირობით განთავსებული სარეზერვო თანხებისგან

|                                         | 12/31/2018    | 12/31/2019     |
|-----------------------------------------|---------------|----------------|
| ბანკებში განთავსებული სარეზერვო თანხები | 30,000        | 160,000        |
| <b>სულ შეზღუდული ფულადი ნაშთები</b>     | <b>30,000</b> | <b>160,000</b> |

**შენიშვნა 6 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მარაგები მოიცავს პერიოდის ბოლოს გაუხარჯავ SMS შეტყობინებებს

|                               | 12/31/2018 | 12/31/2019    |
|-------------------------------|------------|---------------|
| სარეკლამო SMS-ს შეტყობინებები | -          | 37,091        |
| <b>სულ მარაგები</b>           | <b>-</b>   | <b>37,091</b> |

**შენიშვნა 7 - მოთხოვნები სერვისის მომწოდებლებთან**

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სერვისის მოწოდებაზე და სხვა მომსახურებებზე წარმოქმნილი ბალანსები მოიცავს შემდეგს:

|                                    | 12/31/2018     | 12/31/2019       |
|------------------------------------|----------------|------------------|
| მოთხოვნები სერვისის მომწოდებლებთან | 164,501        | 1,505,848        |
| გადახდილი ავანსები                 | 228,884        | 198,728          |
| რეზერვები                          | -              | (13,927)         |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b>    | <b>393,385</b> | <b>1,690,649</b> |

შპს ფულ ჰაუსი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

| მოთხოვნები                                    | სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები |                   |                              |                      |
|-----------------------------------------------|----------------------------------------------|-------------------|------------------------------|----------------------|
|                                               | ბრუტო საბალანსო ღირებულება                   | ზარალის განაკვეთი | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | საბალანსო ღირებულება |
| მიმდინარე მოთხოვნები                          | 1,392,678                                    | 1%                | (13,927)                     | 1,378,751            |
| 30 - 90 დღის ვადა გადაცილება                  | -                                            | 5%                | -                            | -                    |
| 91-180 დღის ვადა გადაცილება                   | -                                            | 10%               | -                            | -                    |
| 181-365 დღის ვადა გადაცილება                  | -                                            | 50%               | -                            | -                    |
| 365 დღეზე მეტი ვადა გადაცილება                | -                                            | 100%              | -                            | -                    |
| შემცირებული გაუფასურების რეზერვით             |                                              |                   | (13,927)                     |                      |
| <b>საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019</b> | <b>1,392,678</b>                             |                   |                              | <b>1,378,751</b>     |

**შენიშვნა 8 - ფული და ფულადი ექვივალენტები**

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

|                                         | 12/31/2018     | 12/31/2019       |
|-----------------------------------------|----------------|------------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 433,147        | 2,133,078        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 13,624         | 177,053          |
| ნაღდი ფული სალაროში                     | -              | 8,677            |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>446,771</b> | <b>2,318,809</b> |

**შენიშვნა 9 - სავაჭრო ვალდებულებები**

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

|                                                         | 12/31/2018   | 12/31/2019       |
|---------------------------------------------------------|--------------|------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 9,475        | 2,638,034        |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე                         | 20           | 26,107           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      | <b>9,495</b> | <b>2,664,141</b> |

**შენიშვნა 10 - მიღებული ავანსები**

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, მიღებული ავანსები მოიცავს მომხმარებლის დეპოზიტებს და გაუთამაშებელ ფსონებს, რომლის შედეგიც არ იყო დამდგარი საანგარიშო პერიოდში

|                                   | 12/31/2018     | 12/31/2019       |
|-----------------------------------|----------------|------------------|
| მომხმარებლის დეპოზიტები           | 220,573        | 1,354,168        |
| დადებული და გაუთამაშებელი ფსონები | -              | 50,326           |
| <b>სულ მიღებული ავანსები</b>      | <b>220,573</b> | <b>1,404,494</b> |

**შენიშვნა 11 -შემოსავალი თამაშებიდან**

პერიოდის შემოსავლები მოიცავს თამაშების მოწყობაზე მიღებულ ფსონებსა და მათ მოგებაზე წარმოქმნილ გადახდებს შორის სხვაობით აღიარებულ შემოსავლებს, შემცირებული ისეთი ფსონების ღირებულებით რომლის შედეგების არ იყო დამდგარი საანგარიშო პერიოდის ბოლოს

|                                    | 12/31/2018 | 12/31/2019        |
|------------------------------------|------------|-------------------|
| წმინდა შემოსავალი სლოტებიდან       | -          | 30,201,937        |
| წმინდა შემოსავალი სამორინედან      | -          | 1,648,548         |
| წმინდა შემოსავალი ტოტალიზატორიდან  | -          | 4,987,807         |
| წმინდა შემოსავალი სხვა თამაშებიდან | -          | (43,909)          |
| <b>წმინდა შემოსავალი</b>           | <b>-</b>   | <b>36,794,383</b> |

**შენიშვნა 12 - თამაშებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები**

თამაშებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები მოიცავს თამაშების ორგანიზებაზე და მოწყობაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს:

|                                                       | 12/31/2018   | 12/31/2019        |
|-------------------------------------------------------|--------------|-------------------|
| სათამაშო ბიზნესის ხარჯები და მოსაკრებელი              | 4,350        | 6,498,259         |
| წამახალისებელი გათამაშების ხარჯები                    | -            | 5,405,578         |
| თამაშების ლიცენზიის ხარჯები                           | -            | 9,246,681         |
| საკომისიო ხარჯები                                     | -            | 4,265,668         |
| ხელფასის ხარჯები                                      | -            | 1,690,868         |
| სხვა ხარჯები                                          | -            | 4,398,386         |
| <b>სულ თამაშებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები</b> | <b>4,350</b> | <b>31,505,439</b> |

**შენიშვნა 13 - მიწოდების ხარჯები**

|                                 | 12/31/2018 | 12/31/2019       |
|---------------------------------|------------|------------------|
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები |            | 6,176,083        |
| ხელფასის ხარჯები                |            | 706,378          |
| ანარიცხები                      | -          | 13,927           |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები</b>    | <b>-</b>   | <b>6,896,388</b> |

**შენიშვნა 14 - ადმინისტრაციული ხარჯი**

|                                                   | 12/31/2018    | 12/31/2019     |
|---------------------------------------------------|---------------|----------------|
| საიჯარო ხარჯი                                     | -             | 19,734         |
| ოფისის და საკანცელარიო ხარჯი                      | 260           | 32,568         |
| კომუნალური ხარჯი                                  | -             | 37,113         |
| კომუნიკაციის ხარჯი                                | -             | 143,176        |
| მივლინების ხარჯი                                  | -             | 65,079         |
| საგადასახადო ხარჯი                                | -             | 3,665          |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი                  | 10,042        | 92,132         |
| საბანკო & საგარანტიო მომსახურების საკომისიო ხარჯი | 3,171         | 16,125         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                           | -             | 48,838         |
| სხვა საერთო ხარჯი                                 | 400           | 119,141        |
| <b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b>                | <b>13,874</b> | <b>577,571</b> |

## რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

## საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები ეფექტურია და მოიცავს წარმოქმნილ მოთხოვნებზე არა უმეტეს 5 დღიან კონსიგნაციის პერიოდის, რომელიც მიხედვითაა ხორციელდება შესაბამისი ფულადი ნაკადების მიღება. მოთხოვნები წარმოქმნილია მყარი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომელიც ახორციელებენ ორგანიზაციის ფულადი სახსრების მიღებას მომხმარებლებისგან და შემდგომ მათ ასახვას ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე ერთ, სამ ან ხუთ სამუშაო დღეში. აღნიშნული კონტროლები ამცირებს საკრედიტო რისკებს, მაგრამ ამავდროულად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნები შემცირებულია მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ეფექტის გათვალისწინებით და მისგან მიღებული დანახარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეცმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქონდა რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვადიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით.

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს და სავალუტო რისკები გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას ეზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად ლიკვიდურობის რისკებიც.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს ფულ ჰაუსი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                         | 31 დეკემბერი 2019 |                       |                       |
|-----------------------------------------|-------------------|-----------------------|-----------------------|
|                                         | GEL               | USD 1 = 2.8677<br>GEL | EUR 1 =<br>3.2095 GEL |
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |                   |                       |                       |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 2,141,756         | 106,744               | 70,309                |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 1,878,049         | -                     | 112,570               |
| გადახდილი ავანსები                      | 193,406           | 5,322                 | -                     |
| საგადასახადო მოთხოვნები                 | 83,362            | -                     | -                     |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>4,296,573</b>  | <b>112,066</b>        | <b>182,879</b>        |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |                   |                       |                       |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 1,482,107         | 5,095                 | 1,176,939             |
| მიღებული ავანსები                       | 1,404,494         | -                     | -                     |
| ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი       | 227,160.76        | -                     | -                     |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>3,113,762</b>  | <b>5,095</b>          | <b>1,176,939</b>      |

**ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

|              | შესყიდული მომსახურების<br>ღირებულება | გადახდილი<br>ანაზღაურება |
|--------------|--------------------------------------|--------------------------|
| Every Matrix | 325,853                              | 266,672                  |

საანგარიშო პერიოდში მმართველი მენეჯმენტის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 207 757 ლარს.

## სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას პერიოდის ბოლოს არ გააჩნია სასამართლო დავები, ხოლო პოტენციური საჩივრები რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ბალანსის შემდგომ პერიოდში მოიცავს შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტით წარმოქმნილ სარჩელებს, რომელიც არსებით გავლენას ვერ იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე.

## საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

## ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი Covid19, რომლის გამოც დაწესდა არა ერთი შეზღუდვა ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეკონომიკურმა შეზღუდვებმა არსებითი გავლენა იქონია არ ერთ ბიზნეს სექტორზე, რამაც ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობას. მენეჯმენტის ანალიზით ორგანიზაციის საქმიანობაზე პანდემიას პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან არ იყო შეზღუდული ფუნქციონირება, თამაშების ორგანიზება და მიწოდება ხორციელდებოდა უწყვეტად. მაგრამ ვინაიდან პანდემიით გამოწვეული შედეგების სრულად პროგნოზირება შეუძლებელია, ორგანიზაცია მუდმივად აფასებს მის რისკებს და განიხილავს შესაბამის ქმედებებს, რათა გავლენა არ იყოს არსებითი.

## მმართველობითი ანგარიშგება

### ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 405143303 რეგისტრირებულია 2016 წლის 31 მარტს „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“ და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის ამჟამინდელი რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #33.

2019 წ კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

|                                  |         |
|----------------------------------|---------|
| თემურ მიქელაძე                   | 40.00 % |
| GIGI LEVY WEISS DAFNA LEVY WEISS | 16.67 % |
| TEUFELBERGER NORBERT FRANZ       | 16.67 % |
| BODNER MANFRED                   | 16.66 % |
| ბაკურ ხარჩილავა                  | 2.50 %  |
| გურამ დოლიძე                     | 2.50 %  |
| ზურა ერქომაიშვილი                | 2.50 %  |
| გიორგი ბარნაბიშვილი              | 2.50 %  |

კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი საქმიანობა რეგულირდება ლიცენზიებით N 19-06/233 (სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოწმობა) და # 19-05/337 (ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა)

კომპანიის ვებ-გვერდის მისამართია - [www.crocobet.com](http://www.crocobet.com)

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი სახის პროდუქტებს:

სპორტი (ტოტალიზატორი)

სლოტის თამაშები

კაზინოს თამაშები

P2P თამაშები

გარდა ზემოთხსენებული ონლაინ თამაშებისა , 2019 წლის განმავლობაში, კომპანია ფლობდა შემდეგ მიწის ობიექტს ქ. ჭიათურაში ნინოშვილის # 5

მომხმარებლებისგან ფულადი სახსრების მიღებას და მომხმარებლებზე ფულადი სახსრების გაცემას კომპანია ახორციელებს საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სერვისების, საგადასახდელო არხების და მომსახურე სალაროების მეშვეობით

### ბაზრის მიმოხილვა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ბუნებრივია მასზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. ქართული ბაზარი ონლაინ -თამაშობების სეგმენტში ხასიათდება მზარდი კონკურენციით. აღნიშნულ სეგმენტში 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი ძირითადი მოთამაშეები:

Adjarabet  
Crystalbet  
Europe-bet  
Lider-bet  
Betlive

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებათა ცოდნის სიღრმე განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას. სწრაფად ცვლებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

პროდუქციის ხელმისაწვდომობა, სისწრაფე, მოქნილობა (აპლიკაციები, რეგისტრაცია)

თამაშობების მრავალფეროვნება

ფულადი სახსრების მოძრაობის მხრივ უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა, სიმარტივე,

სანდოობა და მოძრაობის არხების გაფართოება

უსაფრთხო ონლაინ გარემო

ინფორმაციის კონფიდენციალურობა

არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება და ამასთანავე მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება

### **საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას, შესაბამისად მისი საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

კომპანიას განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორის ფარგლებში მიღებული ფსონები, რომლის განაკვეთი შეადგენს მიღებული ფსონების 7%-ს;

მოგების გადასახადი (15%)

მოგების გადასახადის ახალი, ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით

საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთი)

დასაბეგრ ოპერაციებს წარმოადგენს:

კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვადასხვა სარგებლები ფიზიკური პირებისათვის გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები

არარეზიდენტის შემოსავალი, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი და 5%-იანი განაკვეთით. ამასთანავე კომპანია ითვალისწინებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ საგადასახადო შეღავათებს და მათი გამოყენების წესს.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი)

დასაბეგრ ოპერაციებს წარმოადგენს: 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები და დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები

ქონების გადასახადი

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში და მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, კომპანია იხდის ქონების გადასახადს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1% ოდენობით

## ორგანიზაციული კულტურა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. კომპანია ცდილობს თანამშრომლების შერჩევის ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი პერსონალის პოვნის შესაძლებლობას, რომელიც ფირმას გრძელვადიანი პერსპექტივით უყურებს; კომპანია მუდმივად ცდილობს ინვესტირებას თანამშრომლებში. ქმნის თანამშრომლებისთვის უსაფრთხო, ჯანსაღ და კომფორტულ სამუშაო გარემოს. უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით. კომპანიაში თანამშრომლებისთვის არსებობს გარემო, სადაც არსებობს შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის. კომპანია პერსონალს მუდმივი ტრენინგის უზრუნველყოფს იმ საკითხებში, რაც კომპანიის საჭიროებებს ერგება. კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დასაქმებას კომპანიის ძირითადი რისკები.

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე შპს „ფულ ჰაუსის“-ს წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

### IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ზოგადად ონლაინ სათამაშო ბიზნესი ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით.

კომპანიის რისკების შემცირების სტრატეგიები მოიცავს:

ლეკ-ტოპებისა და დესკ-ტოპების დაცვას

მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას

ინტერნეტთან წვდომის სტრატეგიის ქონას

ქსელების დაცვას

სერვერების დაცვა

შესაფერისი და დროული IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას

კომპანიაში მიღებულია ყველა შესაბამისი ზომა იმისთვის რომ თითოეული მომხმარებლისათვის ვებ-გვერდზე ვიზიტი მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს.

### სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „ფულ ჰაუსის“ მიზანია მომავალში მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, შესაბამისად კომპანია მუდმივად ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების შესაძლებლობების ძიებაშია. ბალანსის შემდგომ პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია ვინაიდან მომსახურების მიწოდება ხორციელდება ონლაინ რეჟიმში და არ იყო შეზღუდული მომსახურების გაწევა. მიუხედავად ამისა ბიზნესის რისკები, რომლის დასაფარადაც მენეჯმენტი უწყვეტად ახორციელებს ოპერაციების მონიტორინგს წარმოადგენს მომხმარებელთა გადაუხდის უნარიანობის შემცირება, რაც პირდაპირ აისახება ორგანიზაციის შემოსავლებზე.

---

დირექტორი

თარიღი: 29 სექტემბერი 2020 წ

## ორგანიზაციული კულტურა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. კომპანია ცდილობს თანამშრომლების შერჩევის ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი პერსონალის პოვნის შესაძლებლობას, რომელიც ფირმას გრძელვადიანი პერსპექტივით უწყურებს; კომპანია მუდმივად ცდილობს ინვესტირებას თანამშრომლებში. ქმნის თანამშრომლებისთვის უსაფრთხო, ჯანსაღ და კომფორტულ სამუშაო გარემოს. უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით. კომპანიაში თანამშრომლებისთვის არსებობს გარემო, სადაც არსებობს შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის. კომპანია პერსონალს მუდმივი ტრენინგის უზრუნველყოფს იმ საკითხებში, რაც კომპანიის საჭიროებებს ერგება. კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დასაქმებას კომპანიის ძირითადი რისკები.

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე შპს „ფულ ჰაუსის“-ს წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

### IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ზოგადად ონლაინ სათამაშო ბიზნესი ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით.

კომპანიის რისკების შემცირების სტრატეგიები მოიცავს:

ლუპ-ტოპებისა და დესკ-ტოპების დაცვას

მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას

ინტერნეტთან წვდომის სტრატეგიის ქონას

ქსელების დაცვას

სერვერების დაცვას

შესაფერისი და დროული IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას

კომპანიაში მიღებულია ყველა შესაბამისი ზომა იმისთვის რომ თითოეული მომხმარებლისათვის ვებ-გვერდზე ვიზიტი მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს.

### სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „ფულ ჰაუსის“ მიზანია მომავალში მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, შესაბამისად კომპანია მუდმივად ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების შესაძლებლობების ძიებაშია. ბალანსის შემდგომ პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია ვინაიდან მომსახურების მიწოდება ხორციელდება ონლაინ რეჟიმში და არ იყო შეზღუდული მომსახურების გაწევა. მიუხედავად ამისა ბიზნესის რისკები, რომლის დასაფარადაც მენეჯმენტი უწყვეტად ახორციელებს ოპერაციების მონიტორინგს წარმოადგენს მომხმარებელთა გადაუხდის უნარიანობის შემცირება, რაც პირდაპირ აისახება ორგანიზაციის შემოსავლებზე.

დირექტორი:

თარიღი: 29 სექტემბერი 2020 წ.

